№ 116 ივნისი 5, შაბათი 1893 ივნისი 5, შაბათი № 116

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სთხოვს საბჭოს წევრთ და აგრედვე ყველას, ვინც ქრისტიანობის გავრცელების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდნენ 12 საათზედ 6 ივნისს, ექსარხოსის ეკლესიაში გარდახდილ წირვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახლში საბჭოს წლიურ კრებაზედ. ამ კრებაზედ, თანხმად საზოგადოების წესდების მე 12 მუხლისა, წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქმნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგიერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრედვე არჩეულ იქმნება კამისია საზოგადოების წარსულ წლის ანგარიშის სარევიზიოდ.

ახალი ამბავი

⁂ 5 მაისს, სიღამოს 10 საათზე, ევლახიდგან წამობრძანდება საგანგებო მატარებლით კავკასიის მთავარმართებელი ს. ა. შერემეტიევი და ტფილისს ჩამობრძანდება 6 ივნისს, დილის 7 საათსა და 50 წუთზე.

⁂ სამშაბათს, 8 ივნისს, დანიშნულია საგანგებო კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, წაკითხული იქმნება მოხსენება ექიმის ა. იაშვილისა იმის შესახებ, თუ 1892 წელს ხოლერა რად სუსტობდა ქუთაისის გუბერნიაში.

⁂ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრნი საერთოდ აპირებენ სამსახურიდგან გადადგომას და ამ ნაირი თხოვნა უნდა მიართვან საზოგადოების კრებას, რომელიც დანიშნულია 6 ივნისისათვის. სწორედ ესე უნდა მოქცეულიყო მმართველობა და კომიტეტი, რომ საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდეს, თუ რამ ეჭვი აქვს, ყოველივე თავიდგან აიცილოს.

⁂ ჩვენ მივიღეთ შემახიიდგან 59 მან. 20 კ. და გადავეცით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. აი შემომწირველთა სია: დარია გძელიშვილისამ—2 მან., მარიამ ყორღანოვისამ—3 მან., დავით ღოღობერიძემ—5 მან., დიმიტრი იაგორაშვილმა—5 მან., სფ. ფურცელაძემ—3 მან., ივლ. ხოფერიამ—5 მან., თ. ვ. წულუკიძემ—3 მან., გრ. ქებაძემ—5 მან., ალ. ბაქრაძემ—5 მან., ი. გძელიშვილმა—2 მან., მ. ბილანიშვილმა—3 მან., ა. მამულიშვილმა—3 მან., ტრ. ქიქოძემ—3 მან., გრ. ჯაფარიძემ—2 მ., პოდპოლკოვნიკმა ნ. უგრეხელიძემ—1 მ., გაბ. ფედოროვმა—1 მ., ნ. ჯამასპიშვილმა 2 მან., თავ. ლ. ვაჩნაძემ—1 მ., ე. ლილოვმა—1 მ., ა. ჩესტნოვიჩმა—1 მ., ს. ბაქრაძემ—1 მან., მიხა ნანობაშვილმა—1 მ., ს. რამიშვილმა—1 მან., მ. ტერმანველოვმა—20 კ.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ანგარიში ტფილისის საქალაქო სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტისა 1892 წ.

საზოგადოებასა ჰყავს 51 წევრი, რომელთა შორის 8 სამუდამოა, 16 საპატიო, 24 ნამდვილი და 3 თანამომქმედი.

თანხა საზოგადოებისა 1 იანვარს 1892 წელს იყო 3868 მან. და 72 კაპეიკი, რომელთაგანაც 1837 მან. 55 კაპ. საანგარიშო წელს შემოსულა, ამ რიგად:

წევრთაგან 635 მან.,
შეწირულება 2 მან.,
9 დეკემბერს გამართულ კონცერტისაგან 376 მ. 50 კ..
თანხის სარგებელი 58 მ. 5 კ.,
შეწირულობანი 6 იანვარს მტკვარში დამრჩვალთა სახლობისათვის 766 მან.,

აქედგან წლის განმავლობაში დახარჯულა 653 მ. 80 კ. დარჩა 1 იანვრისთვის 1893 წ. 3214 მ. 92 კ.,

ღარიბ მოწაფეთათვის დასახმარებლად საანგარიშო წელს საზოგადოებას დაუხარჯავს სულ 556 მან.

⁂ მომავალ 1893—1894 თეატრის სეზონის განმავლობაში დაიბეჭდება ტფილისში ორი სალიტერატურო და სათეატრო კრებული, სომხურს ენაზედ; სახელად „თეატრი“ ეწოდება. პირველი წიგნი დაიბეჭდება 1 ნოემბერს 1893 წელს, მეორე მარტში 1894 წ.

ორივე წიგნი ეღირება 3 მან. 30 კაპ., ხოლო ცალკ-ცალკე—2 მ. 25 კაპ..

გამომცემელი ბ-ნი ალექსანდრე თარხანიანია.

⁂ რკინის გზით შეეძლო აქნობამდე ბაგაჟის გაგზავნა მხოლოდ იმას, ვინც თითონ მიდიოდა და ბილეთს აიღებდა. ეხლა-კი იმასაც შეუძლია ბაგაჟის გაგზავნა, ვინც თითონ არსად მიდის. ხოლო ამ შემთხვევაში პირდაპირ სადგურის უფროსს უნდა მიჰმართოს და სრული გასაგზავნი ფასი გადაიხადოს, ე. ი. მგზავრს ერთის ფუთის ბარგის გასაგზავნი ფასი არ ეანგარიშება და ისე გამგზავნელი-კი სრულად იხდის.

ამას გარდა ბაგაჟის მიბარება შეუძლიან მგზავრს ყველა სადგურებზე, სადაც-კი მატარებელი ორ წამს მაინც ჩერდება. აქნობამდე-კი ბარგის წაღება შეიძლებოდა მხოლოდ იმ სადგურიდგან, სადაც მგზავრი ბილეთს იღებდა.

⁂ ქალაქის გამგეობას გამოუანგარიშნია, რომ წარსულს წელს ქალაქის საყასპოში დაკლულა 44,567 სული სხვილი საქონელი, 91,018 ცხვარი, 21,224 ბატკანი, 2263 ხბო და 1899 გოჭი, სულ—179,234. 1891 წელს-კი დაკლულა 156,334 სული, ე. ი. 22,900 ნაკლები. ქალაქს აულია გარდასახადი 1892 წელს 36,422 მან. 67 კ., 300 მანეთით მეტი ვიდრე წინა წელს.

⁂ ამ ჟამად დიდძალი ხის მასალა საღდება ბათუმში. აქამდე მცირე სადამოჟნო გარდასახადს იღებდა ხაზინა იმ ხის მასალისაგან, რომელიც საზღვარ-გარეთიდამ შემოჰქონდათ. ეხლა-კი გარდასახადმა იმატა და, ეტყობა, ხელს აღარავის აძლევს საზღვარ-გარეთიდამ მასალის შემოტანა. კარგია, თუ ამ გარემოებით ისარგებლეს ჩვენმა ტყის პატრონებმა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ოთხ-რვეულად დაბეჭდილი პროტოკოლები კავკასიის საიმპერატორო მკურნალთა

ფელეტონი

რაჭიდგან გამოვიარე,
გადმოვჰყევ ქარის ქროლასო;
მწარე ამინდი დამიდგა,
ვერ მოვეფარე გორასო.
მოუხდათ მოძმებს ჩხუბკალი
ერთი-მეორის ჭორვასო.
და ღმერთმან ნურვინ შეგასწროთ
მეგობრებს შუა ბრძოლასო.

—

არ ვიცოდი, მზეო, შენი
ნახვა დაგვიძვირდებოდა,
და ქვეყანა ყველა ერთად
ასე აგვიტირდებოდა.

—

ვა ცუდი ცხენის ყოლასა,
უი—სულ-უცხენობასა;
ვა ცუდი ცოლის ყოლასა
უი სულ უცოლობასა!

—

უწყლოდ, უპუროდ, ულვინოდ
ჟამი არ ოდეს იწირვის,
მცირე მერცხლისა კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის;
თუ კაცსა ღმერთი არ სწყალობს,
ცუდია რასაც იჭირვის.

—

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
რა ხელს მოგცემს ჩემი ბრძოლა,
იმისთანა ქამანდს გესვრი,
მოგეწყინოს გვერდზე წოლა;
ისეთს მიჯნურს მოგაშორებ,
ვით შეკრული ვარდის კონა.

—

ჯოჯოხეთის ამბავს გეტყვით,—
სათქმელათ საზარელია,—
მეტადრე ცოდვიანისა
სულის ამოხდა ძნელია.
დედ-მამის მაგინებელსა
ეხვევა ჭრელი გველია,
ამხანაგის არ გამტანსა
ცეცხლს უდევს ენის წვერია,
მამულისა მოღალატეს
პირს უზის მორიელია.

◆

„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“!..

(შემდეგი *)

IV

მაზრის სამსჯავროში დიდიხანია, რაც ხალხი შეიყარა და ადგილები დაიჭირა. მომეტებული ნაწილი გლეხობა იყო. ყველას თავ-პირი ჩამოჰკიდოდათ და ნაღვლიანად შეჰსცქეროდნენ მომრიგებელ-მოსამართლეს, მაუდის წითელ სუფრა გადაფარებულ ტაბლას, რომელზედაც საწერ-კალამი და რამდენიმე წიგნი იდო.

დათუა შრომიშვილიც იმათ შორის იჯდა და ხშირ-ხშირად გადაჰხედავდა ხოლმე ისაკასა და იმის მოწმებს, რომლებიც ხმა-დაბლივ რაღაზედაც ბაასობდნენ.

„ვაიმე!“ თავისთვის წამოიძახებდა ხოლმე ბრაზ-მორეული დათუა ყოველ შეხედვაზედ და თავისთვისვე განაგრძობდა: „რა უნდა მაგ კომლობა ამოსაწყვეტს ჩემგან, რომ ტყუილ-უბრალოდ აქ ამომათრია! მითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლა?!“

„მითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლაო?“ იძახოდა დათუა იმისთვის, რომ ის დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და ვერ წარმოედგინა, თუ ტყუილად გადაახდევინებდა ვინმე რასმე სამართლის ძალით.

როცა მღვდელმა უწყება წაუკითხა და გამოუცხადა, რომ ისაკა სამოც თუმანს გიჩივის და ამისთვის გიბარებენო, ის გაოცდა, კარგა ხნობამდის გონს ვერ მოვიდა.

„მერე რას წაიღებს, რომ მიჩივის!? განა ალალობა, რომ არ მემართოს და ისე წამართვას! სამართალი აღარ არის ქვეყანაზედ“. დამშვიდებით წარმოსთქვა პირველ გაკვირვების შემდეგ იმან მღვდელთან და შინ წამოვიდა.

მას შემდეგ დათუას ამაზედ აღარც-კი უფიქრნია და დანიშნულ დღისთვის არხეინად წამოვიდა მაზრის სამსჯავროში, სადაც აი ეხლა სხვებთან ერთად ელოდა, თუ მომრიგებელ-მოსამართლე როდის გამოვიდოდა და დაიწყებდა იმის საქმის გარჩევას, რომ ის გამართლებული შინ გაესტუმრებინა.

აგერ ტაბლის იქით პირდაპირი კარი გაიღო და მომრიგებელ-მოსამართლეც გამოვიდა, რომლის დანახვაზედ ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ის ისე დაჯდა და ძეწკვი ისე ჩამოიკიდა, რომ ხალხისთვის არც-კი შეუხედნია. დაჯდომის უმალ ქაღალდებს ჩხრეკა დაუწყო, რომლებიც თითონ შემოიტანა და ზოგი-კი მდივანმა მიაწოდა.

— დასხედით!.. დაუძახა ხალხს კარებში მდგომმა მოსამსახურემ.

ხალხი დასხდა. ამ დროს შემოვიდა იღლიაში პორტფელ ამოჩრილი ახალგაზდა კაცი და მოღიმარის სახით მოსამართლისკენ წავიდა, რომელმაც ღიმილითვე ხელი გამოუწოდა და ჩურჩული დაუწყო.

— ეგაა, აი, გიორგი ატვოკატი! ჩაჰფურჩუნა ერთმა გლეხმა მეორეს, სერთუკოსანი რომ შემოვიდა, და ფეხზედ წამოდგა.

— ეგაა, რომ აქებენ?! გაკვირვებით ჩაეკითხა მეორე და გიორგი „ატვოკატს“ ჩააკვირდა.

— „სუდიასთან“ როგორ დაახლოვებული ყოფილა, აგერ როგორ უკინიან ერთმანეთს!.. განაგრძო ისევ იმ გლეხმა, როდესაც დასხდნენ.

— მაშა, კაცო!.. ეგა და „სუდია“ ესე არიან, აი!.. უპასუხა პირველმა და ს ჩვენებელი თითები ერთმანეთს მიატოლა.

— ნეტავი მაგას!.. წამოიძახა მეორემ და გაჩუმდა.

მოსამართლეს დანახვამ დათუა ცოტა არ იყოს შეაშინა, და იმისმა მოქუშულმა სახემ იჭვნეულობით გააფიქრებინა: „ვაი თუ გამამტყუნოსო, მაგრამ იმან ამ დროს სარკმლის ახლო ჯვარსა და სახარებას თვალი შეასწრო და იმედი ისევ მოეცა: „როგორ გამამტყუნებს, როცა მართალი ვარო!“ გაიფიქრა იმან და მოსამართლის მოძრაობას თვალყურის დევნა დაუწყო.

---

*) იხ. «ივერია», № 114.

საზოგადოებისა, №№ 1, 2, 18 და 19.

⁂ ტფილისის ტყეთა დამცველ საზოგადოების კომიტეტი აცხადებს, რომ მდინარე ვერის ღელეში მდებარე ტყეები თ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძის აფხაზისა მიიღო კომიტეტმა თვის განმგებლობაში, რათა დაიცვას სათავე, როგორც ერთად-ერთის სარწყავ წყლისა. ეს ტყე ჩაჰბარდა ტყეების რევიზორს ბ-ნს კობიაშვილს და ტყის ზედამხედველს ბალდანკალინსკის.

⁂ სოფ. კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა): დღეს, 3 ივნისს, დილის 10 საათზედ, გამოიარა აქეთ კახეთის გზის გამომკვლეველმა კომისიამ, რომელიც მიემგზავრება ჩალაუბნის ხეობისაკენ. ჩალაუბნიდამ კომისია თელავს გაემგზავრება. ტფილისიდამ დაწყობილი კაკაბეთამდე ადგილ-მდებარეობა, ბუნება და ვითარება იმ ადგილებისა, სადაც უნდა გაიაროს განზრახულმა გზამ, კომისიას და მის უფროსს ინჟენერს ბ-ნს ა. ნ. პუშჩნიკოვს ძალიან მოეწონა. ლაპარაკი მხოლოდ იმაზეა, საით სჯობიან, რომ გზამ გაიაროს: ჩალაუბანზედა, თუ კარდენახზედ. უმრავლესობა უფრო იმ აზრისაა, რომ ჩალაუბანზედ გაიაროს გზამ. ლოჭინის ხიდი, კომისიის გამოკვლევით, დაჯდება 180.000 მან. დაწვრილებით შემდეგ მოგწერთ.

⁂ ბათუმი: 29 მაისი ამ რამდენისამე წლის წინად ბათუმის ცხოვრება სანუგეშოდ ვერ მოქმედებდა ჭეშმარიტ ინტელიგენტის გულზე; ვერც გონებრივ მოძრაობას, ვერც წადილს გონებრივის წარმატებისას აქ ვერ შენიშნავდით. იმოდენა ქარხნების ნოქრებსა და მუშებში ძლიერ იშვიათად ჰნახავდით, რომ წიგნი სჭეროდა ვისმეს ხელში, ან წიგნის კითხვის სურვილი ჰქონოდა. თავისუფლების დროს ან სძინავდათ და ან ლოთობაში ატარებდნენ. ის, რაც ფულის შეძენას, ლოთო[illegible] და განცხრომას არ შეეხებოდა, ამათთვის საინტერესო არ იყო. ამ უკანასკნელ დროს კი ბათუმი სასურველად შეიცვალა: ეხლა ქარხნის მუშებში ხშირად შეხვდებით ისეთებს, რომლებსაც მუშაობის დროსაც-კი წიგნი ჯებეში უძევთ და მოიცლის თუ არა, ჩასჩიჩინებს შიგ; ჰნახავთ, რომ თავისუფლების დროს მუშები შეკრებილან რომელსამე კითხვის მცოდნე ამხანაგთან და გაფაციცებით ისმენენ წიგნის კითხვას. შედიხართ ნოქრების ოთახში და სტოლი სავსეა წიგნებით. თუ ტფილისიდგან მოსული ვინმე ინტელიგენტთაგანი ჰნახეს, დიდის ინტერესით ეკითხებიან—რას ჰფიქრობს ინტელიგენცია, აპირობენ თუ არა რაიმე ახალი წიგნის, ან ჟურნალის გამოცემასა და სხვ.

როტშილდის ქარხანაში მოსამსახურე რამდენმამე ყმაწვილმა შეაგროვა ფული და დასდგა შუა ქალაქში წიგნის სავაჭრო კიოსკა, ანუ ფარდული. როგორც გავიგე, განზრახვა აქვთ მომავალში წიგნთსაცავიც დაარსონ.

⁂ იქიდამვე: გუშინ, 28 მაისს რუსეთის მაღალ სასწავლებელში ნასწავლი ერთი ქართველი სტუდენტი გაემგზავრა ბათუმიდგან სამზღვარ გარედ სწავლის დასამთავრებლად. აქაურ საზოგადოების რამდენთამე პატივცემულთ გულ-წრფელი შემწეობა აღმოუჩინეს განათლების მწყურვალს, მაგრამ ქონებით ღარიბს სტუდენტს. ამ მოკლე დროში ერთის პატივცემულის მანდილოსნის მეთაურობით წარმოდგენის გამართვასაც აპირობენ ბათუმში ხსენებულ სტუდენტის სასარგებლოდ. ჭეშმარიტად, მადლობის ღირსნი არიან ახალგაზდობისაგან ისინი, ვინც ასეთის თანაგრძნობით ეგებებიან ახალგაზდობის მისწრაფებას განათლებისადმი.

⁂ ამას წინად მოკლედ გვქონდა ნაამბობი, რომ, 11 აპრილს, ღამე, ქობულეთის ახლო, რკინის გზის ლიანდაგის მედარაჯის კაცია ფირჩხაძის 17—18 წლის გასათხოვარი ქალი მოუტაცნიათ. აი საქმე როგორ ყოფილა. ფირჩხაძე თავის სახლობით—ცოლით და ორის ქალი-შვილით სადიკით 17—18 წ., და მარიკით 10—11 წ. შინ იყო თურმე, სადარაჯოში. აქვე ყოფილა სტუმარი გერასიმე ჩხარტიშვილი. უეცრად ხუთი შეიარაღებული კაცი შემოცვინულან, ორი მამას მიკარდნია, ერთი დედას და ორს კიდევ ლოგინში მწოლარე სადიკა მოუტაცნიათ, შეუსვამთ ცხენზე და გაქცეულან. სტუმარი ჩხარტიშვილიც თურმე იმათ მიმხრობია. მამა გამოსდგომია ფეხით, დასწევია კიდეც და რევოლვერი დაუხლია, მაგრამ არავის მოხვედრია. იმათ მამა თოკით შეუკრავთ, ქალი-კი ისევ ცხენზე შეუსვამთ და წასულან. საბრალო ქალი თურმე ტიროდა, წიოდა, არ მისდევდა, ამასობაში ტანთ საცმელი სულ შემოფხრეწოდა, მაგრამ ვერამ იხსნა. ხოლო მეორე დღეს იპოვნეს ქალიც და წამყვანნიც, ქალი დედ-მამას დაუბრუნეს, წამყვანნი-კი შეიპყრეს.

რკინის გზის ოსტატი იმ განყოფილებისა, სადაც ქალის მამა ფირჩხაძე ემსახურებოდა, ალ. ბალდავაძე, ჩასციებია ფირჩხაძეს, შენი ქალი ერთ იმ ხუთთაგანს, მალაზონიას მიათხოვეო. ქალს არ უნდომია და მამასაც უარი განუცხადებია. გაჯავრებულს ბალდავაძეს საბრალო მამა სამსახურიდგან დაუთხოვნია და ცოლ-შვილით შეუბრალებლად სადარაჯოდგან გაუდევნია. (Нов. Обоз.)

⁂ ქუთაისიდგან გაზ. Кавказъ სა სწერენ, რომ მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობას ებრძანა მთავრობისაგან ბანკის წევრთა ახალი წლიური კრება დანიშნოს და თავის დროზედ გამოაცხადოს წესისამებრ. რადგანაც ხოლერისა ეფიქრიანებათ, კრება სექტემბერზედ ადრე არ დაინიშნებაო.

⁂ ორშაბათს, ნაშუადღევს, ერთი ახალგაზრდა კაცი, სუფთა ტანთ-საცმლიანი, მიხეილის ხიდიდგან მტკვარში გადავარდნილა. ბ-ნ დოლანოვსადი მის მუშებს ბევრი უძებნიათ წყალში, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ვინაობა ჯერ არავინ იცის (Тиф. Лист.).

მთავრობის განკარგულებანი

უმართებულესის სენატის ბრძანებით, ტფილისის სახელმწიფო პალატისა და ხაზინის მოსამსახურეთ ებოძათ:

კოლლეჟსკი სოვეტნიკობა ნადვორნი სოვეტნიკს თეთრაძეს; კოლლეჟსკი ასესორობა ახალ სენაკის ხაზინის ბუხჰალტერს ტიტულიარნი სოვეტნიკს არხიპოზ ტატიშვილს; კოლლეჟსკი სეკრეტრობა: პალატის მოხელეს დავით ქუთათელაძეს, თელავის ხაზინის ბუხჰალტერს დავით რუსიშვილს, საგუბერნიო ხაზინის კასსირს ნიკოლოზ ალექსიძეს, პალატის სტოლო-ნაჩალნიკს—იოსებ ლორთქიფანიძეს, გუმბრის ხაზინის ბუხჰალტრის თანაშემწეს კონსტანტინე ფომინს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ერევნის ხაზინის ბუხჰალტრის თანაშემწეს ზაქარია გურბელაძეს, ახალქალაქისას—ივანე რაზმაძეს, პალატის სტოლო-ნაჩალნიკის თანაშემწეს მიხეილ კვალიაშვილს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქარელი (გორის მაზრა): 1883 წლამდე აზრადაც არავის მოსვლია სკოლის დაარსება ჩვენს სოფელში. 1883 წელსა 19 თიბათვეს აქ მობრძანდა გორის მაზრის უფროსი (აწ განსვენებული) თ. ამირინდო ამილახვარი. რა ჰნახა, რომ სკოლა არ არსებობდა, შეაკრებინა სოფლის ხალხი და აუხსნა, რა არის სკოლა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან. შემდეგ სთხოვა ხალხს: „სკოლა უსათუოდ უნდა დააარსოთო"; თუმცა გლეხ-კაცობა დიდ უარზე იყო, ისეც დიდი ხარჯი გვაწევს, რაღა ეგ გვეჭირვებაო, მაგრამ განსვენებულმა თ. ამირინდო ამილახვარმა თავისი სიტყვა გაიყვანა; იმ დღესვე დაადგინა განაჩენი, რომლის ძალითაც შემდეგი საზოგადოებანი: ქარელისა, კეხიჯვრისა, სანებელისა, აბარეჯისა, [illegible]ბისისა, ყანცვალისა და ზღუდერისა მოვალენი არიან ყოველ წლივ, ქარელის სასოფლო სამინისტრო სასწავლებლის დასაარსებლად იხადონ ოცდა ათი თუმანი. სანამ ა. ამილახვარი ცოცხალი იყო, სკოლის ფულს საკომლო გადასახადთან ახდევინებდა ხოლმე; შემდეგ ამილახვარის სიკვდილისა, 1886—1889 წლამდე მოიშპო სკოლის გადასახადი და აღარც არავინ თაობდა სკოლის დაარსებას, თუმცა გორის ხაზინაში ორმოც თუმანზე მეტი იყო შენახული. ბლაღოჩინმა ნიკოლოზ მცხვედაძემ ჰნახა, რომ სკოლის საქმე უკან-და-უკან მიდიოდა, ურჩია ხალხს, სამრევლო სკოლა მაინც გავმართოთო იმ ფულით, რომელიც ხაზინაშიაო შენახული; სამრევლო სკოლა უფრო იაფად დაგვიჯდება, ვიდრე სამინისტროვო. ხალხმა მოიწონა მამა მცხვედაძის რჩევა, და ერთხმად გადასწყვიტეს სამრევლო სკოლის დაარსება. ბლაღოჩინმა თანახმად სოფლის ხალხის სურვილისა, იშუამდგომლა ეგზარხოსის წინაშე, სამრევლო სკოლის დაარსებისათვის ნება რთვაც მოუვიდა: „სამრევლო სკოლა აშენდეს წყაროცხოვრების მიძინების ეკკლესიის გალავანშიო და ის ფული, რომელიც ხაზინაშია შენახული სამრევლო სასწავლებელს მოხმარდესო", ბლაღოჩინმა ნიკოლოზ მცხვედაძემ ხაზინიდგან მოითხოვა ზემოხსენებული ფული, მაგრამ არ დაანებეს; ამიტომ სამრევლო სკოლის საქმე ჩაიშალა და იმის საბადლოდ 1 სექტემბრიდგან 1889 წლისა დირექციამ დაგვიარსა სასოფლო სამინისტრო ერთ კლასიანი სკოლა. სკოლა, დაარსების აქეთ, ქირის სახლშია მოთავსებული, სახლი ასე პატარაა (და არც სკოლის პლანზეა აშენებული) რომ 50 შეგირდის მეტი არ თავსდება და სწავლის მსურველთა რიცხვს არ აკმაყოფილებს. აქამდინ სკოლის ადგილიც არ იყო, რომ სკოლა აშენებულიყო, და არც სადმე იყო შუა სოფელში გასაყიდი ადგილი, რომ სკოლისთვის

მოსამართლემ გაათავა გიორგი „ატვოკატთან" ბაასი და პირ და-პირ საქმეების გარჩევას შეუდგა.

ამოიკითხა ჯერ ერთი, ახლა მეორე, მერე მესამე და ასე რიგ-რიგად არჩევდა საქმეებს და ყოველ განაჩენის წაკითხვაზედ ხალხს ფეხზედ წამოაყენებდა ხოლმე.

მიდგა ჯერი დათუაზედაც.

ამოიკითხა მოსამართლემ ისაკა ჭამიაშვილი და დათუა შრომიშვილი, რომლებიც მაშინვე გავიდნენ.

— შენ, უთხრა მოსამართლემ, ისაკა ჭამიაშვილის სამოცი თუმანი გმართებია და რატომ არ აძლევ?..

— რისა მმართებია, შენი ჭირიმე, ჩემ დღეში მაგისგან ვალი არ ამიღია? ერთი სამიოდ თუმანი მმართებს, ისიც მამიჩემის აღებული, და შამადგომაზედ გავუსწორდები.

— სამიოდ თუმანს-კი არა, სამოც თუმანს გიჩივის და აი თამასუქიც აქ არის. ტყუილად ხომ არ დაუწერდნენ და შეუმოწმებდნენ;

— მაგისაგან განა ძნელი მოსალოდნელია, რომ ტყუილად დაჰწეროს.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, აგერ მოწმებიცა ჰყავს.

— რო არა მმართებს, როგორ არ ვილაპარაკო.

— ჩუმად, კარგი! შეუტია მოსამართლემ და მოწმები გამოიძახა. ისაკა კი გაჩუმებული იდგა ამ დროს და, როცა დათუა უარს ჰყოფდა, გაკვირვების ნიშნად იღიმებოდა.

— დავაფიცო? დაეკითხა მოსამართლე დათუას, როდესაც გიგო, ლევანი და მამასახლისი, რომელსაც მკვდრის ფერი დაედო, გამოვიდნენ.

— დააფიცე და მაშინ როგორღა იტყვიან ტყუილს! უპასუხა დათუამ და მერე მამასახლისს მიუბრუნდა:

— როდის ვისესხე, რომ შაგიმოწმებია, ჰა?!

ამ უეცარმა კითხვამ მამასახლისი სულ დააბნია და ჭირის ოფლი დაასხა, რისგამოც ის კინაღამ გადაიქცა.

— რა ვიცით, როგორ აიღე! წაილუღლუღა თავისდა უნებურად და ისაკას ისეთის თვალებით შეჰხედა, თითქოს ამის თქმა უნდაო: „შენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, რომ ამ ცეცხლში ჩამაგდეო!"

— თუ არ იცი, შე ოჯახ-ქორო და... მა ბეჭედს რაღას უცემდი?! უფრო ხმა-მაღლივ წამოიძახა დათუამ და თვალებში ჩააკვირდა მამასახლისს.

— თქვენი „კანცელარია" ნუ გგონია, აქ ნუ ჰყვირი: შეუტია მოსამართლემ და შემდეგ დანარჩენებს მიჰმართა:

— წადით დასხედით და მღვდელი ეხლავ მოვა.

ისინი ყველანი გამობრუნდნენ თავთავიანთ ადგილებისკენ. მოსამართლემ-კი სხვისა საქმეების გარჩევა დაიწყო.

დათუას მღვდლის ხსენებაზედ გამართლების იმედი ისევ მოეცა, რომელიც მოსამართლემ სულ შეურყია და მოაშორა. მამასახლისი-კი უფრო შეაშინა და დააფიქრა. როცა ის მოსამართლემ გაიძახა, ეგონა იქმნება დაუფიცებლივ გადავრჩეო, რადგანაც იქ მღვდელს თვალი ვერსად მოჰკრა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ის უნდა დააფიცონ.

„ჯანი და სული წაუვიდეთ, გამგზავნონ ციმბირს!" დიდის ხნის ფიქრის შემდეგ წამოიძახა უსიტყვოდ მამასახლისმა; მაგრამ ამავე დროს თვალ-წინ ცხადად წარმოუდგა თავისი კარ-მიდამო, ცოლშვილი და ტანში გააჟრჟოლა. „ღმერთო, რა ცეცხლში ჩამაგდე!" საყვედურის კილოთი წაიჩურჩულა თავისთვის და ხელები წინ გაიშვირა. თითქოს უნდა ხელში აეყვანა ვინმე და გულში ჩაეკრა, რომ გამოჰშველებოდა. ყმაწვილის მაგივრად, რომელიც იმას მოელანდა, ხელები წინ მჯდომ კაცს წაავლო, რომელიც მოხედვის შემდეგ დაეკითხა: „რა გინდაო". ამ კითხვაზედ ის გონზედ მოვიდა, ხელები გაუშვა და უთხრა: „არაფერი, მომიხვდა ხელი".

„ვერა, ვერ დავთმობთ", გადაწყვეტით წამოიძახა იმან, როცა იმის წინ მჯდომმა კაცმა ისევ იქით მიიხედა, და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

ამ დროს მღვდელიც შემოვიდა და ის სხვა მოწმებთან ერთად დასაფიცებლად გავიდა.

დაფიცების შემდეგ მოსამართლე ისევ დათუას საქმეს დაუბრუნდა და მოწმებს სათითაოდ ჩვენება ჩამოართვა.

სამივ მოწამემ ერთნაირად აჩვენა, რომ დათუას ისაკასი ნამდვილად ჰმართებს სამოცი თუმანი.

— ისე თქვენი ოჯახი აშენდეს, როგორც მართალს ამბობთ! გულჩაწყვეტით, თითქმის ტირილით წამოიძახა დათუამ და მუხლები ჩაეკეცა.

რაკი მოწმებს ჩვენება ჩაართვა და ხელი მოაწერინა, ცოტა ხნის წერვის შემდეგ, მოსამართლემ განაჩენი წაიკითხა, რომლის ძალითაც დათუა შრომიშვილმა უნდა გადიხადოს სამოცი თუმანი ისაკა ჭამიაშვილის სასარგებლოდ და აგრეთვე სამჯავროში საქმის საწარმოებელი ფული რვა მანეთი.

— ღმერთი აღარა გწამთ, ტყუილად რად უნდა გადვიხადო?! წამოიღრიალა დათუამ, განაჩენი რომ მოისმინა, და ჯავრისაგან ცრემლები გადმოჰყარა.

— როგორ თუ ტყუილად?! შეუტია მოსამართლემ და განაჩენი იქით გადასდო.

— ღმერთი, რჯული, არა მართებს!.. დაიჯერეთ, ქრისტიანები არა ხართ?!

— კარგი, წადი!.. თუ გინდა, აქედგან ასლი გაიტანე და სხვაგან გადიტანე საჩივარი.

— სხვაგან სადღა გადვიტანო? თუ კი აქ არ მაძლევთ სამართალს, იქ კი მამცემენ?!

— გაიყვანეთ ეგ დათვი!.. წამოიყვირა მოსამართლემ და თავ-პირ ანთებული ზეზე წამოვარდა.

ზ. არაგვისპირელი

ვარშავა.

(დასასრული იქნება)